ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3551881

ნომერი: AR1538212

თარიღი : 07.09.2017

გაცემის თარიღი : 20.09.2017

გაცნობის თარიღი : 20.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფეიქრები , ნაკვეთი 07/031 / ქალაქი თბილისი , ფეიქრების ქუჩის დასაწყისში , (ნაკვეთი 7/3) / ქალაქი თბილისი , ფეიქრების ქუჩის დასაწყისში , (ნაკვეთი N7/4) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ხარშილაძე პ/ნ 01024031166
- თბილისი ზემო ვეძისის ქ. N 49/3

ნომენკლატურა :

- პავილიონი
- II კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "STL-PAK"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404927362
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თეიმურაზ ხარშილაზე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024031166

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 3517322
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 6.09.2017

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

ვბრძანებ

1.გაიცეს ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, ფეიქრების ქუჩა, ნაკვეთი 07/031/ ქ. თბილისი, ფეიქრების ქუჩის დასაწყისში, (ნაკვეთი 7/3)/ ქ. თბილისი, ფეიქრების ქუჩის დასაწყისში (ნაკვეთი N7/4), შ.პ.ს. "STL-PAK" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ კოდით N 01.11.19.007.044), სამსახურის მიერ 06.09.2017წ . №3517322 ბრძანებით შეთანხმებული, ცალკე მდგომი სავაჭრო-საგამოფენო პავილიონის შენობის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 20 სექტემბრიდან 2018 წლის 20 მარტის ჩათვლით.

3. დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლიარი, კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით, მათ შორის:

– სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო–გეოლოგიური კვლევა; – საჭიროების შემთხვევაში შენობა–ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 24.03.09 წ. #57 დადგენილების 35–ე მუხლის შესაბამისად;

– მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ამავე დადგენილების 61–ე მუხლის შესაბამისად. ;

– კონსტრუქციული სქემა საჭირო დეტალიზაციით.

4. განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება, საპროექტო შენობის ვიზუალიზაციით და შესაბამისი რეკვიზიტებით.

5. ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში საპროექტო ობიექტის მშენებლობის საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული შესაბამის სამსახურებთან;

6. მშენებლობის წარმოებისას დაცული იქნას ტერიტორიაზე არსებული ხე– ნარგაობა, ხის–მოჭრის ან გადარგვის საჭიროების შემთხვევაში საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურთან;

7. თუ საპროექტო ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანის გარდა მოიჭრება სხვა სახეობის ხე-მცენარე, მოქალაქის მიმართ გატარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. მესაკუთრე ვალდებულია ჭრის დაწყება აცნობოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს;

- საპროექტო ობიექტი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო წყალარინების (საკანალიზაციო) შიდა და გარე სისტემით.
- მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.
- თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს «საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი»

საქართველოს კანონით განსაზღვრულ ღონისძიებას.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ მერიის ცხელ ხაზს - ტელ: 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. №7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე №4.